პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 136 (13828) | სამშაბათი, 13 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

12 ივნისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სკკპ რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის“.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ლ. გელაშვილი,** საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი **ს. ნ. ალანია,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ე. ჩერქეზია,** პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **დ. გ. აბუთიძე,** საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი **ა. გ. მარგიევი,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **ნ. შ. ცხაკაია,** ახალციხის რაიონის სახელმწიფო სანერგის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი **ი. კ. კურტანიძე,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ი. გეგენავა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარე **დ. ვ. გელაშვილი,** საქართველოს ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი **დ. დ. მაღლაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი **რ. მ. სიორაძე,** პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომთან არსებული პარტიაში მიღების საკითხთა წინასწარი განხილვის შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარე **ვ. ა. ლოლაძე,** საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. კ. სანიკიძე,** საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ა. ვერულაშვილი,** ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი **მ. ნ. გვიშიანი,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **კ. შ. ბაქრაძე.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

პლენუმმა მოისმინა **ვ. პ. მჟავანაძის** ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის აგრესია დაგმეს: მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრმა, მწერალმა **გ. გ. აბაშიძემ,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ი. ნ. ვეკუამ,** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ვ. ა. პაპინაშვილმა,** ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა გენერალ-მაიორმა **ნ. დ. პესკოვმა.**

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა და მხარი დაუჭირა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი სრულ სოლიდარობას უწევენ არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სამართლიან ბრძოლას და მზად არიან საჭირო დახმარება გაუწიონ ისრაელის აგრესიის მოგერიების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ხაზგასმულია დადგენილებაში, მთლიანად და სავსებით იწონებს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოზიციასა და ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით. (საქდესი).

ქალისა და სილამაზის დღესასწაული

კვირას „ლოკომოტივის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადა

ოთხ თვეზე ცოტა მეტი ხანი დარჩა იმ დღემდე, როცა საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ ისტორიულ მოვლენას უძღვნიან თავიანთ შრომას მუშები და კოლმეურნეები, მშენებლები და მეცნიერები — მთელი ხალხი. მას ეძღვნება აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომლის ფინალური შეჯიბრება გაიმართება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ივლისის დამლევსა და აგვისტოს დამდეგს.

საბჭოთა ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილეს ეძღვნება აგრეთვე საქართველოს სსრ IV სპარტაკიადა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ჩვენს რესპუბლიკაში, მართლაც რომ უმაგალითოდ მასობრივი გახდა. დღეს ჩვენში ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს მილიონზე მეტი ადამიანი, რომლებიც იკაუებენ ჯანმრთელობას და სახელს უხვეჭენ საბჭოთა სპორტს. ქართველმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ბერწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა სპორტის ისტორიაში, ბევრი მათგანი მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონია, მათი სახელები შეტანილია რეკორდების ცხრილში. ამიტომ არის, რომ წლევანდელი სპარტაკიადა გადაიქცა ფიზკულტურისა და სპორტის მიღწევათა დათვალიერებად. მათი თითქმის ნახევარი საუკუნის განვითარების შედეგების შეჯამებად.

სასიამოვნოა ზოგიერთი ციფრის გახსენება, რომლებიც ახასიათებენ ქართველ სპორტსმენთა წარმატებებს. მარტო შარშან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მოიპოვეს 119 მედალი, აქედან 26 ოქროს, 63 ვერცხლისა და 30 ბრინჯაოს მედალი. მათ გაუმჯობესეს 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი, 60 უძლიერესი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი და კანდიდატია. ეს ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებს.

11 ივნისს საღამოს ათეულ ათასობით თბილისელი მოვიდა „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სადაც გაიმართა საქართველოს სსრ IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული დღესასწაული. დღესასწაულს დაესწრნენ ამხანაგები **ვ. ვ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუნიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ქორნენიძე, შ. ი. პანუშვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუპავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.**

19 საათია. გაისმის ფანფარების ხმა. სტადიონის მწვანე მინდორზე შემოდიან მედოლეები. გაერთიანებული ორკესტრი უკრავს მარშს. წიდის ბილიკზე შემოდიან საზეიმო პარადის მონაწილენი. წინ მოდის მედროშეთა გაერთიანებული კოლონა.

პარადის მეთაური, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ა. ჯორჯაძე** სპარტაკიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს მოახსენებს, რომ მონაწილენი მზად არიან მარშ-პარადისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. ი. ჩოგოვაძე,** რომელმაც მიულოცა მათ სპარტაკიადის გახსნა და დიდი წარმატებანი უსურვა საბჭოთა სპორტის სახელოდ.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ი. ჩესნავიჩუსი** სპორტსმენებს მიესალმა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს სახელით და უსურვა საქართველოს სსრ სპარტაკიადის მონაწილეებს სასახელოდ დაიცვან რესპუბლიკის ღირსება მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოჩნდა სპორტსმენი, რომელსაც ანთებული ჩირაღდანი უკავია ხელში. ეს არის რომის ოლიმპიადის გმირი სპორტის დამსახურებული ოსტატი **რობერტ შავლაკაძე.** როგორც სიმბოლურ ესტაფეტას ჩირაღდანს აწვდის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის გამარჯვებულს გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის 18 წლის კურსდამთავრებულს თამაზ მდინარაძეს. ჭაბუკი მიდის სტადიონის სამხრეთ ტრიბუნისაკენ, რომელზეც ინთება ოლიმპიური ცეცხლი.

გაისმის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდების წარმომადგენლები ფლაგშტოკზე აღმართავენ სპარტაკიადის აღჭმს. ამბ. **გ. ი. ჩოგოვაძე** საქართველოს სსრ IV საიუბილეო სპარტაკიადას გახსნილად აცხადებს.

იწყება მარშ-პარადი. სპორტსმენთა კოლონას მიუძღვის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი **როსტომ აბაშიძე.** მას ხელში უპირავს საქართველოს სს რესპუბლიკის დროშა. გვერდით მიუყვებიან რესპუბლიკის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ალექსანდრა ჯანუაშვილი და ციხანა ჭკადუა. ტრიბუნების წინ ჩაიარეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, ტყიბულის, ჭიათურისა და თბილისის წარმომადგენლებმა. მათ რიგებში ბევრი სახელოვანი სპორტსმენია. ტრიბუნები მხურვალედ უკრავენ ტაშს სპორტსმენებს. მარშ-პარადში მონაწილეობდნენ აგრეთვე არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენები.

პარადის დამთავრების შემდეგ დაიწყო მოსწავლეთა და სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები. მოედანზე პირველები გამოვიდნენ თბილისის სკოლების მოსწავლეები. 4500 კაცმა რიგმულად შეასრულა ვარჯიში ფერადი მარაოებით. ისინი შეცვალეს საქართველოს პროფკავშირთა სპორტული სკოლების ნორჩმა მძლეოსნებმა. ბავშვებმა გამოავლინეს თავიანთი ოსტატობა თარჯრბენსა და ამანათრბენში.

პროფესიულო-ტექნიკური განათლების სკოლების 1600 მოსწავლემ სტადიონის მწვანე მინდორზე შეასრულა შრომის ვარჯიში. მათ წარმოსახეს შრომითი რეზერვების ემბლემა-კბილანა.

სახალხო დღესასწაულს საქართველოში მუდამ თან ახლავს შეჯიბრებანი ჭიდაობასა და ცხენოსნობაში. სტადიონზე გაისმა ზურნისა და დოლის ხმა. რომლებიც შეჯიბრებისათვის იწვევდნენ მოჭიდავეებს. ამასობაში სარბენ ბილიკზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისინდში ჩოხატაურისა და გუდაუთის რაიონების ცხენოსნები.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებმა დამსწრეებს უჩვენეს შეწყობილი ვარჯიში ლითონის კიბეებითა და ფერადი რგოლებით ივარჯიშეს იარაღებზე.

და უცბად სტადიონი თითქოს განათდა — გამოჩნდა თბილისის უმაღლეს სახწავლებელთა სტუდენტების კოლონა. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა წარმოადგინეს საინტერესო ვარჯიში გურჯებით, მრავალიარუსიან ვაზაზე ტალღები გადადიოდა.

ეს ლამაზი სპორტული დღესასწაული იმით დამთავრდა, რომ შუაგულ სტადიონზე მონაწილეებმა წარმოსახეს ციფრი „50“. მაღლა აღიმართა პროფექტორებით განათებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდი პორტრეტი, ცაში აიჭრა რაკეტები...

ისღა დაგვრჩა, რომ დავასახელოთ ამ შესანიშნავი სპორტული დღესასწაულის ორგანიზატორები. მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. კერესელიძე, მხატვარი ი. ი. სართანია, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ყელტუხინი. საერთო სცენარის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე. (საქდესი).

საქართველოს დღეები მოსკოვში



მოსკოვი. 11 ივნისი. საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეები მოსკოვში. საქართველოს დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინის მუზეუმი გორკაში. **სურათზე:** დელეგატების ჯგუფი იმ სახლის ფონზე, სადაც ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი (მარცხნიდან მარჯვნივ) — მწერალი კ. ლორთქიფანიძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე, მხატვარი თ. ღვინიაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. შაროვი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ი. ამირბა, ბათუმის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ქიქავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ი. ურუშაძე, ექიმი ნ. ქირია.

ფოტო საქდესის ფოტოკორონიკის სპეციალური კორესპონდენტის გ. კიკვაძისა.
(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გაძლაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებმა და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, ასრულებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს, რომლებიც ეხება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვას, ფერდობების დატერასებასა და მეწყერული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, სახელდობრ: გააშენეს ციცაბო ფერდობებზე, ხრამებში, ხევებში და სხვა უმარჯვნო მიწებზე 14,4 ათასი ჰექტარი ტყე, დატერასეს 0,6 ათასი ჰექტარი ფერდობები, სახელმწიფო ტყის ზოლები გააშენეს 3,5 ათას ჰექტარზე, მინდორსაცავი ტყის ზოლები — 3 ათას ჰექტარზე და გამოიკვლიეს 2 მილიონამდე ჰექტარი ნიადაგები. მაგრამ რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ეწევიან სისტემატურ ბრძოლას ეროზიულ მოვლენათა წინააღმდეგ, მთლიანად ვერ იცავენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ნიადაგების, დამუშავების და ნათესებისა და ნარგავების მოვლის დროს, ტყის მასივების ექსპლოატაციისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის დროს. ამის შედეგად მწყობრიდან გამოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობები, მცირდება მოსავლიანობა და ტერიტორია სულ უფრო ისერება ხევებითა და ხრამებით.

სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია; მთის რაიონებში ღვარცოფი (ტალახ-ღორღოვანი) რეცხავს ნიადაგს, სილავს სახნავს, სპობს ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებს, ანგრევს ნაგებობებს, რკინიგზის ლიანდაგებსა და გზატკეცილებს.

სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს აგრეთვე ის, რომ სწორად და რაციონალურად არ იყენებენ სარწყავ წყალს. ტყის ზოლების დიდი ფართობი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ზოლები გამეჩხერებულია, მათ ჯეროვნად არ უვლიან; არის ისეთი შემთხვევები, როგორც ახალი ნარგავების გადაძოვნა და დაზიანება; უსისტემოდ ჩეხავენ ტყეებს და გამოაქვთ მერქანი, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის წარმოშობას. ჯეროვნად არ წარმოებს ტყის მასივების აღდგენა, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ტყეებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, მათი ადგილობრივი ორგანოები, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, ბევრი პარტიული და საბჭოთა ორგანოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელნი ჯეროვნად ვერ ითვალისწინებენ ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის დამახგრეველი მოქმედების საფრთხეს და არ ახორციელებენ საკმაო ღონისძიებებს იმისათვის, რომ წარმოებაში ფართოდ გამოიყენონ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და პრაქტიკით შემოწმებული მიწათმოქმედების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწის ნაყოფიერების დაცვას, ეროზიისაგან ნათესებისა და ნარგავების დაცვას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საცავი ტყის გაშენებას, მაშინ როცა ხშირად საგარეჯოს, გარდაბნის, სიღნაღის, წითელწყაროს, გურჯაანის, კასპის, მცხეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ძლიერი ქარები იწვევენ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოქრევას, აზიანებენ და სპობენ ნათესებს დიდ ფართობებზე, ავსებენ საირიგაციო არხებს, ხოლო ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის, ონის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთიანეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდ ზარალს აყენებს წყლისმიერი ეროზია.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მათი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნულ დადგენილებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისა და ღვარცოფის წინააღმდეგ ბრძოლა იმ ღონისძიებათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. რათა გაუმჯობესდეს ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ესაოფლო-სამეურნეო საწარმოები აქვთ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოებს, წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოებს, სატყეო მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ფართოდ გაშალონ მუშაობა და გეგმაზომიერად განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, ტყის სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ეროზიისაწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსი.

ადგილობრივი ნიადაგისა და ჰავის პირობების მიხედვით, სადაც მეცნიერებათა და პრაქტიკით დადასტურდა შესაბამის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ეფექტიანობა, უნდა განხორციელდეს:

იმ რაიონებში, სადაც გავრცელებულია ქარისმიერი ეროზია — ნიადაგმესაცავი თესლბრუნვა, ამასთან ზოლებად უნდა განლაგონ ნათესი და ახ
ელი, ძლიერ ეროზირებული მიწების გამდელოება, მრავალწლიანი ბალახების ბუფერული ზოლების მოწყობა, თოვლშეკავება, ფერდობების, ხრამების, ხევების და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი სხვა მიწების მოტყეება, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება;

რაიონებში, სადაც გავრცელებულია წყლისმიერი ეროზია, — ნიადაგის დამუშავება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა ფერდობის გარდიგარდმო, კონტურული ხვნა, სახნავი შრის გაღრმავება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდების წარმომადგენლები ფლაგშტოკზე აღმართავენ სპარტაკიადის აღჭმს. ამბ. **გ. ი. ჩოგოვაძე** საქართველოს სსრ IV საიუბილეო სპარტაკიადას გახსნილად აცხადებს.

იწყება მარშ-პარადი. სპორტსმენთა კოლონას მიუძღვის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი **როსტომ აბაშიძე.** მას ხელში უპირავს საქართველოს სს რესპუბლიკის დროშა. გვერდით მიუყვებიან რესპუბლიკის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ალექსანდრა ჯანუაშვილი და ციხანა ჭკადუა. ტრიბუნების წინ ჩაიარეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, ტყიბულის, ჭიათურისა და თბილისის წარმომადგენლებმა. მათ რიგებში ბევრი სახელოვანი სპორტსმენია. ტრიბუნები მხურვალედ უკრავენ ტაშს სპორტსმენებს. მარშ-პარადში მონაწილეობდნენ აგრეთვე არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენები.

პარადის დამთავრების შემდეგ დაიწყო მოსწავლეთა და სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები. მოედანზე პირველები გამოვიდნენ თბილისის სკოლების მოსწავლეები. 4500 კაცმა რიგმულად შეასრულა ვარჯიში ფერადი მარაოებით. ისინი შეცვალეს საქართველოს პროფკავშირთა სპორტული სკოლების ნორჩმა მძლეოსნებმა. ბავშვებმა გამოავლინეს თავიანთი ოსტატობა თარჯრბენსა და ამანათრბენში.

პროფესიულო-ტექნიკური განათლების სკოლების 1600 მოსწავლემ სტადიონის მწვანე მინდორზე შეასრულა შრომის ვარჯიში. მათ წარმოსახეს შრომითი რეზერვების ემბლემა-კბილანა.

სახალხო დღესასწაულს საქართველოში მუდამ თან ახლავს შეჯიბრებანი ჭიდაობასა და ცხენოსნობაში. სტადიონზე გაისმა ზურნისა და დოლის ხმა, რომლებიც შეჯიბრებისათვის იწვევდნენ მოჭიდავეებს. ამასობაში სარბენ ბილიკზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ისინდში ჩოხატაურისა და გუდაუთის რაიონების ცხენოსნები.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებმა დამსწრეებს უჩვენეს შეწყობილი ვარჯიში ლითონის კიბეებითა და ფერადი რგოლებით ივარჯიშეს იარაღებზე.

და უცბად სტადიონი თითქოს განათდა — გამოჩნდა თბილისის უმაღლეს სახწავლებელთა სტუდენტების კოლონა. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა წარმოადგინეს საინტერესო ვარჯიში გურჯებით, მრავალიარუსიან ვაზაზე ტალღები გადადიოდა.

ეს ლამაზი სპორტული დღესასწაული იმით დამთავრდა, რომ შუაგულ სტადიონზე მონაწილეებმა წარმოსახეს ციფრი „50“. მაღლა აღიმართა პროფექტორებით განათებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდი პორტრეტი, ცაში აიჭრა რაკეტები...

ისღა დაგვრჩა, რომ დავასახელოთ ამ შესანიშნავი სპორტული დღესასწაულის ორგანიზატორები. მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. კერესელიძე, მხატვარი ი. ი. სართანია, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ყელტუხინი. საერთო სცენარის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე. (საქდესი).

დაუვიწყარი შეხვედრები

მოსკოვი. 12 ივნისი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში კვლავ დიდი წარმატებით მიმდინარეობს „საქართველოს დღეები“. კინოთეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში, ღია და დახურულ ესტრადებზე, კონსერვატორიის მცირე დარბაზსა და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში, კრემლის თეატრში და სასახლო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკონცერტო დარბაზებსა და პავილიონებში კვლავ ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა.

მეგობრობა, ძმობა, — აი დევიზი, რომლითაც მიმდინარეობს მეტად საინტერესო შეხვედრები მოსკოველთა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის. ჩვენ საშუალება გვქონდა დავსწრებოდით მრავალ შეხვედრას, საუბარს, ლექციას, კინოფილმს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმ დიდ სიყვარულში, რომელსაც მოსკოველები იჩენენ საქართველოს წარგზავნილებისადმი, მათი ხელოვნებისადმი.

კვირადღე... ნამდვილად სამხრეთული ამინდი. დილით საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ავტომანქანების კორტეჟი სასტუმრო „მოსკოვიდან“ დაიძრა. პირველი გაჩერება, — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს წარმომადგენელთა შორის არიან: დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე ბ. მიქელაძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი ი. არმაგელაძე, მწერალი კ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი რ. მეტრეველი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე.

მასპინძელთა შორის არიან სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. შაპოშნიკოვა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. სიზოვი, პარტიის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ე. სოლოვიოვა, პარტიის ძერჟინსკის რაიონის პირველი მდივანი ო. კრეშოვ�, პარტიის კრასნაია პრესნიას რაიონის პირველი მდივანი ვ. შეიდოროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. შაროვი.

სწრაფლმავალმა ლიფტმა 24-ე სართულზე აიყვანა სტუმარ-მასპინძლები. აქ გადასახედი მოედნიდან შესანიშნავად მოჩანს მოსკოვი.

უნივერსიტეტის პრორექტორმა მ. ონანიანმა და პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ მ. მასლოვმა სტუმრებს მოუთხრეს მოსკოვის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის ისტორია, აღნიშნეს, რომ ამჟამად ამ გიგანტურ შენობაში 32 ათასი სტუდენტი სწავლობს. მათ შორის 3 ათასი უცხოელი.

მანქანათა კორტეჟი გასცდა მოსკოვს... დაიწყო კავშირის გზატკეცილი, ქალაქიდან გორკამდე 35 კილომეტრია. იგრძნობა, რომ ახლოს არის დედაქალაქი, განუწყვეტლივ დაჰქრიან ელექტრომატარებლები, მანქანები.

რუსული ბუნება. საოცარი და უცნაური ფერები აქვს, ამავე დროს უძირო და უკიდეგანო. არყისხეები, ფიჭვები, ნაძვები, პატარა მდინარეები და ტყეები. მომხიბვლელია მოსკოვის შემოგარენი.

ვ. ი. ლენინის სახლმუზეუმი. აქ, ამ წმიდა ადგილას განუწყვეტლივ მოდიან ექსკურსანტები. ბევრია უცხოელი, რათა ერთხელ კიდევ იხილონ ვ. ი. ლენინის ადგილსამყოფელი. 1918 წლიდან 1921 წლამდე ვ. ი. ლენინი პერიოდულად ჩამოდიოდა აქ, ხოლო 1923 წლის 15 მაისიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აქ ცხოვრობდა.

აქ ყველაფერი მოგვაგონებს დიდ ბელადს. აი მისი სამუშაო მაგიდა, საწოლი ოთახი, სასადილო, ხეივანი, სადაც იგი სეირნობდა, სკამი, რომელზეც ისვენებდა... მისი ცხოვრება გორკაში ერთხელ კიდევ მოგვაგონებს მის უაღრესად დიდ ადამიანურობას, მის დიდ ბუნებას.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ინტერესით ეცნობიან ყველაფერს, რაც ლენინის სახელთან არის დაკავშირებული.

არ შეიძლება აუღელვებლად გაიაროთ აქ, სადაც დადიოდა დიღი ბელადი, არ შეიძლება აუღელვებლად შეხვიდეთ ოთახებში, სადაც იგი მუშაობდა. საქართველოს წარმომადგენლები დიდი ინტერესით გაეცნენ ლენინის სახლ

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული).

ბიც შეამცირებენ ზედაპირული წყლების ჩადინებას; ნიადაგსაცავი თესლბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზოლებად განლაგება, ციცაბო ფერდობების გამდელება, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება, ხრამების, ხევების მდინარეთა ნაპირებისა და წყალსატევების მოტყეევება, ეროზიისსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობათა (კიბურ-ჩანჩქერების, ტბორების, წყალსატევების) მშენებლობა, ხრამების მოზვინება და სხვ.;

მთის რაიონებში — ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობა, ფერდობთა დატერასება, მოტყეევება და გამდელობა, პირუტყვის ძოვების რეგულირება, მთის ტყეების დაცვის ღონისძიებანი, მრავალწლიან ნარგავთა გაშენება, უშენარეს ყოვლისა ფერდობებზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი ადგილობრივი ორგანოები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ვალდებული არიან პირველ რიგში განახორციელონ ყველაზე ხელმისაწვდომი და ეფექტური აგროტექნიკური ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

1967-1970 წლებისათვის დამტკიცდეს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმა — 16.650 ჰექტარის, აქედან 1968-1970 წლებისათვის — 15 ათასი ჰექტარის მოცულობით.

1968-1970 წლებისათვის განხორციელდეს ხრამების, ხევებისა და სხვა უმარჯვი მიწების გამაგრება და მოტყეევება 8 ათას ჰექტარზე, ციცაბო ფერდობების დატერასება — 3 ათას ჰექტარზე, ნიადაგის გამოკვლევა 1:10000 მასშტაბით — 1.200 ათას ჰექტარზე, საკოლმეურნეო ტყეების გაშენება 188 ათას ჰექტარზე.

ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობაში 17 მილიონი მანეთის მოცულობით, აქედან 1968 წელს — 3,9 მილიონი მანეთის, 1969 წელს — 5,45 მილიონი მანეთისა და 1970 წელს— 7.65 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

დამტკიცდეს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობა (ნიადაგის, გეობოტანიკური კვლევა, ტყის სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ძიება) 1968-1970 წლებისათვის — 3 მილიონი მანეთი, აქედან 1968 წელს — 1 მილიონი მანეთი, 1969 წელს — 1,2 მილიონი მანეთი და 1970 წელს — 0,8 მილიონი მანეთი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", ადგილზე ყველა ღონისძიებანი ამ საქმეში ჩაბან შესაბამისი სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები, შეიმუშაონ და 1968 წლის 1 ივნისისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი მოვალენი არიან 1967-1968 წლებში განახორციელონ ყველა საცავი ტყის ნარგავის ინვენტარიზაცია; ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში უზრუნველყონ ტყის ნარგავების სამელიორაციო და საცავი როლის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება, ამასთან გაითვალისწინონ მათი შესრულება და რეკონსტრუქცია, ბრძოლა ტყის ნარგავების ძაფნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ, გაჩეხვისა და გადაძოვნისაგან მათი დაცვის ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყოველწლიურ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმით დასახული ეროზიისსაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა. აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მანქანების, მოწყობილობისა და მასალების წარმოება და მიწოდება ერთერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად უნდა მიეჩნიოთ.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ასრულებენ ყველა აგროტექნიკურ ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებას, ხოლო, თუ შესაძლებლობა აქვთ, სხვა ეროზიისსაწინააღმდეგო სამუშაოსაც, კერძოდ საკუთარი ძალებითა და სახსრებით ქმნიან საცავ ტყის ნარგავებს და უმარტივეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ამასთან ეს სამუშაოები უნდა გაითვალისწინონ საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა მოვალეა მისცეს კოლმეურნეობებს კრედიტი გეგმებით გათვალისწინებულ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკის შესაძენად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობისა და ნიადაგთა დაცვის სამმართველოში იქმნება ნიადაგთა დაცვის საინსპექტორო ჯგუფი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდორსაცავი ტყის ნარგავებისა და სატყეო მეურნეობის გაძღოლის განყოფილება, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოში ეწყობა ნიადაგთა დაცვის საინსპექტორო ჯგუფები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდორსაცავი ტყის ნარგავებისა და სატყეო მეურნეობის გაძღოლის ჯგუფები.

სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების შტატებით, სადაც ეს საჭიროა, 1968 წლიდან დამატებით გათვალისწინებულია უფროსი ინჟინერ-მიწათმომწყობისა და ტყის უფროსი აგრომელიორატორის სატყეო უფროსის თანამდებობანი, დადგენილია, რომ მთავარი (უფროსი) მიწათმომწყობი რაიონში ამავე დროს ასრულებს ნიადაგთა დაცვის რაიონული ინსპექტორის მოვალეობას.

აღნიშნული ჯგუფების შექმნა და უფროს სპეციალისტთა თანამდებობების შემოღება უნდა მოხდეს მუშაკთა დადგენილი რიცხვის, ხელფასის ფონდებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო მართვის ორგანოების შენახვის ასიგნობათა ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეიტანოს წინადადებანი ზემოაღნიშნული განყოფილებებისა და ჯგუფების სტრუქტურისა და შტატების შესახებ, აგრეთვე რაიონულ სასოფლო-სამეურნეო სამმართველოებში უფროსი სპეციალისტების თანამდებობათა დამატებით შემოღებული შტატების შესახებ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან" ერთად, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მოვალეა შეიმუშაოს ეროზიისსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა ექსპლოატაციისა და რემონტის წესი, ამასთან გაითვალისწინოს ამ ნაგებობათა მოქმედების ზონები, სირთულე და სიდიდე, აგრეთვე ვარჯების შეკვრამდე გაშენებული საცავი ტყის ნარგავების მოვლა, და 1967 წლის 1 სექტემბრამდე წარადგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა 1968-1969 სასწავლო წლიდან უზრუნველყოს ტყის აგრომელიორაციისა და აგროსამელიორიორატორის სატყეო უფროსის თანამდებობანი, დადგენილია, რომ მთავარი (უფროსი) მიწათმომწყობი რაიონში ამავე დროს ასრულებს ნიადაგთა დაცვის რაიონული ინსპექტორის მოვალეობას.

ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციისა და აგროქიმიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს საყრდენ პუნქტად გადასცეს არგვეთის მეკვანახოვნის საბჭოთა მეურნეობის ვაშვეის განყოფილება.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ზემო აჭარაში ნიადაგების აქტიური ეროზიის რაიონში შექმნის საყრდენი პუნქტი, რომელიც შეიმუშავებს ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებებს და ეროზიისსაწინააღმდეგო სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკითხებში ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში არსებული სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე, რომლებიც შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ხდება. მოკლევადიან კურსებზე, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს დავალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს კვლევა ეროზიისაგან ნიადაგების დასაცავად და წარმოებაში დაინერგოს ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების გადიდების პრაქტიკულად შემოწმებული მეთოდები, აგრეთვე კადრებით განამტკიცონ და მოწყობილობით აღჭურვონ ინსტიტუტების ლაბორატორიები და განყოფილებები, რომლებიც იკვლევენ ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკითხებში ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში არსებული სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე, რომლებიც შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ხდება. მოკლევადიან კურსებზე, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე შეიქმნას საცდელ-საჩვენებელი მეურნეობანი, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სრული კომპლექსი; შეიმუშაოს და მასობრივი ტირაჟით გამოსცეს რეკომენდაციები ქარისმიერი, წყლისმიერი და ირიგაციისმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად; ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციისა და აგროქიმიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს საყრდენ პუნქტად გადასცეს არგვეთის მეკვანახოვნის საბჭოთა მეურნეობის ვაშვეის განყოფილება.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ზემო აჭარაში ნიადაგების აქტიური ეროზიის რაიონში შექმნას საყრდენი პუნქტი, რომელიც შეიმუშავებს ეროზიისსაწინააღმდეგო ღონისძიებებს და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის.

ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომლებიც ღია წესით იღებენ სასარგებლო წიაღისეულს სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულებში, რაც მათ დროებითი სარგებლობისათვის აქვთ გამოყოფილი, საბჭოთა დამთავრების შემდეგ ამ ორგანიზაციათა ხარჯზე უნდა უზრუნველყონ მიწის ნაკვეთების ისეთი მდგომარეობა, რომ ისინი გამოსადეგი იყო სოფლის მეურნეობაში, ან სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებლად.

კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაკცილების მთავარი სამმართველო მოვალენი არიან ღვარცოფის განეითარების კერებში 1963 წლიდან მოყოლებული განახორციელონ ჰიდროტექნიკური, ჰიდროსამელიორაციო და ფიტოსამელიორაციო ღონისძიებანი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიისა და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტებმა, ბუნების დაცვის საზოგადოებამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" პროპაგანდის საშუალებანი მოიხმაროს საცავი ტყეთგაშენების, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისაგან ეროზიის დამანგრეველი მოქმედების საკითხების, მისი წარმოქმნის მიზეზებისა და მასთან ბრძოლის მეთოდების სისტემატურ პოპულარიზაციისა და გაშუქებას, გაააქტიურონ პროპაგანდა, რომ მზრუნველად ეკიდებოდნენ მიწას — საყოველთაო-სახალხო დოვლათს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ძირითად წყაროს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ წელიწადში ორჯერ — იანვარსა და დეკემბერში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სისტემატური ბრძოლა ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ დიდი საერთო-სახალხო საქმეა. ამ ბრძოლის წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო საკვლევების დაცვა და ხარისხის გაუმჯობესება, ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდება, და, მაშასადამე, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტებზე რესპუბლიკის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, აღმოუჩინონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სატყეო-სამეურნეო და სამელიორაციო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება ამ ღონისძიებათა განხორციელებაში.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

მამაცობისა და შრომითი გმირობისათვის, რომელიც გამოიჩინეს ამურის კომსომოლსკის პირველმშენებლებმა, აგრეთვე წარმატებებისთვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქი ამურის კომსომოლსკი დააჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

Ჯ. ᲒᲣᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი. (საკდესი).

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲕᲔᲜᲔᲠᲐ-4"

